№ 108
კვირა, 24 მაისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 108
კვირა, 24 მაისი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 27 მაისს

---

**ზურაბი, ალექსანდრე და ანნა** სვიმონის ძენი და ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თვისის საყვარელის მამის

**სვიმონ ზურაბის ძის კოზიაშვილისას**

და სთხოვენ მობრძანდნენ სოფელს ახატანში ორშაბათს, 25-ს მაისს, მიცვალებულის დაკრძალვაზედ დასასწრებლად.
(1—91—1)

---

# საქველ-მოქმედო ბაზარი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 24 და 25 მაისს
თავად-აზნაურობის (არწრუნისეულს) ქარვასლის ბაღში.
ვაჭრობა დაიწყება დილის 10-ს საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე.
ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.
ბაზრობის დროს იქნება:

1) სალიტერატურო ნაწილი, რომელიც შეიცავს ჩვენის მწერლების ყოველ გვარ ნაწერებსა და აგრეთვე ყველა ჩვენის მწერლების სურათებს.
2) გაიყიდება მშვენიერი სხვა-და-სხვა ხელთ საქმე.
3) დადგმულ იქნება ბედის კალათა, საიდგანაც ფასით ყველას თითო საუცხოო ნივთი მიეცემა.
4) მოკითხვის წერილი საჩუქრით, ფასი თითო მანათი;
5) ბავშვებისათვის სროლა მიზანში საჩუქრით.

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კ. (უ.)

---

## მეაგარკეთა საყურადღებოდ

**ქ. თელავში** ნადიკვარზედ მთელის ზაფხულის განმავლობაში (7-ს თიბათვიდგან 1-ს ენკენისთვემდის) **გაიცემა ქირით** სამი ოთახი, დიდის ბალკონით, სამზარეულოთი, საკუთარის ეზოთი, პატარა ხეხილიანის ბაღჩით, რომელშიაც არის წმინდა წყლიანი ჭა პირსაბანითა; მიეცემა სამზარეულო ავეჯეულობა, ქვაბებით, საგარაკოდ საკმარისი სახლის ავეჯი და ჭურჭელი. მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: Въ Телавъ, И. Зарапишвили.
(15—უ.—4)

---

ქართული წარმოდგენა
საზაფხულო თეატრ „ერმიტაჟ"-ში.
**კვირას, 24 მაისს,**
ქართული თეატრის აქტიორებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

## დედა და შვილი

დრამატიული ეპიზოდი ერთ სურათად, თხ. თავ. **ი. გ. ჭავჭავაძისა.**
სხვათა შორის ქართული ხორო შეასრულებს
**„ქართველო ხელი ხმალს იკარ"**

II

## ხანუმა

4 მოქმ. თხზ. ა. ცაგარლისა.
დასასრულ **ლეკური**
ადგილების ფასი 20 კაპეიკიდამ 1 მ. 60 კაპეიკამდე.
დასაწყისი სწორედ 8½ საათზედ.

---

მოსამსახურეთა საყურადღებოდ

„ტფილისის მოსამსახურეთა დამხმარებელი საზოგადოების" კომისიისაგან შემუშავებულ პროექტის წაკითხვის გაგრძობა დანიშნულია ორშაბათს, 25 მაისს, საღამოს 6 საათზედ, „პურ-ღვინოში". ამისათვის კომისია უმორჩილესად სთხოვს ყველას მობრძანდნენ ამ საზოგადო კრებაზედ.
(1—უ—1)

---

სათავად-აზნაურო თეატრი
ოთხშაბათს, 27 მაისს, 1898 წელს,
დანიშნულია

## კონცერტი

მ. ა. ბალანჩივაძესი.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი სარაჯიშვილისა, ბ-ნი კარგარეთელი, ქალებისა და ვაჟების ხორო და ორკესტრი
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8½ საათზე.

---

რადგანაც 13 ამ თვისას დანიშნული
წ ლ ი უ რ ი

## საერთო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წევრთა არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, საზოგადოების წესდების მე-15 §-ის თანახმად, კრება ხელმეორედ დანიშნულია 30 მაისისათვის, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1897 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

5, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.

6, არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.
(3—უ.—2)

---

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 31 მაისს, დილის 10 საათზედ, ბანკის დარბაზში დანიშნულია ხელმეორედ

წ ლ ი უ რ ი

## საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

ანგარიში 189⁷/₉₈ წლისა.

არჩევა გამგეობის 7 წევრისა და სამის კანდიდატისა.

არჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.

არჩევა საზოგადოების წევრებისა.

რამდენი წევრიც უნდა დაესწროს ამ კრებას, იგი კანონიერად ჩაითვლება. (4—უ.—1)

---

კვირას, 31 მაისს, საღამოს 7 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საზოგადო წლიური კრება
ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა".

ეს კრება, რადგან პირველი არ შესდგა, კანონიერი იქნება მიუხედავად იმისა, თუ რავდენი დაესწრობა მას წილის პატრონი (იხ. წესდ. § 21)".

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.
(6—2)

---

## სოფ. ქვიშხეთში

(საუკეთესო საგარაკო ადგილია)
ვ ი ყ ვ ა ნ

## პანსიონერებს,

ხელ-მეორედ გამოსაცდელ და სასწავლებელში მისაღებ ეგზამენებისათვის მოსამზადებლად. იქვე ისწავლიან ფრანგულსა და გერმანულს ენებს და მუსიკას.

ადრესი: ავჭალისა და თუმანოვის ქუჩების კუთხე. ავჭალის ქუჩიდგან № 8, თუმანოვის ქუჩიდგან № 20. მსურველთ შეუძლიანთ თავიანთი ადრესი „ივერიის" რედაქციას შეატყობინონ. (3—უ.—3)

---

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
([illegible]კიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის 11½—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. შროტასხევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ვ. მ. მახვილაძე.** — 5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი — 6 — 7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову
(წ)

---

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.
**ტელეფონი** № 56.
(50—80—20).

---

**მთავრობის განკარგულებანი**

—

გადაყვანილ იქმნენ: გუმბრის რაზმის უფროსი, კაპიტანი მრევლიშვილი —ყარსის ციხის ქვეითა რაზმში; სოხუმის ნაწილის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი, ტიტულიარნი სოვეტნიკი თავადი წერეთელი—ბათუმის ნაწილში.

დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაზედ საგანგებო საქმეთა მოხელის თანამდებობის აღმასრულებელი, რომელსაც ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ადგილების თვალ-ყურის ჭერა აქვს მინდობილი, ტიტულიარნი სოვეტნიკი მაჩაბელი.

---

# ახალი ამბავი

—

*** გავახსენებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, 24 მაისს და ხვალ, თავად-აზნაურობის ქარვასლის ბაღში (თეატრის ბაღი) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართული იქმნება საქველ-მოქმედო ბაზარი. ვაჭრობა დაიწყება დღის 10 საათზედ. ბაღში შესვლა ჰღირს ერთი აბაზი. ამ ბაზრობის გამმართველთ ყოველი ღონე იღონეს, რომ იგი საუკეთესოდ მოეწყოთ და მართლაც, როგორც იმ ნივთებიდგანა სჩანს, რომელიც დღეს ბაღში იქმნება გამოფენილი, ამ ბაზრის უკეთ გამართვა თითქმის შეუძლებელია. გამგეთ იმ აუარებელის ნივთების გარდა, რომელიც საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან მიიღეს, თვითონაც ბევრი შეიძინეს და იყიდეს. მრავალი ოთახისა და სახლის მოსაწყობი ნივთი სიმშვენიერით კაცის ყურადღებას იქცევს. გამოფენილი იქმნება გასასყიდად ხელოვნურად ნაკერი ფარდები, სტოლის გადასაფარებლები, პირსახოცები, ხელსახოცები, სუფრები, ბოხჩები, ქისები, ლამფის აბაჟურები, მარაოები, აგრეთვე კოვზები, ფინჯნები, ვაზები, სურათების ჩასაწყობი ჩარჩოები, პორთფელები და მრავალი სხვა. განსაკუთრებულ ბევრი იქმნება ბავშვის მშვენიერი სხვა-და-სხვა სათამაშოები, აგრეთვე ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვა. ყველა ეს ნივთები გაცილებით უფრო იაფად გაიყიდება, ვიდრე იგი მაღაზიებსა და დუქნებში იყიდება. იმედია, ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ ბაზრობას და მრავალ ნივთებს შეიძენს და ამითი სარგებლობას მოუტანს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", თითონაც ისარგებლებს საუცხოო ნივთების შეძენით და ნასიამოვნებიც დარჩება, მით უმეტეს, რომ ბაზრის გამგენი არაფერს არა ჰზოგავენ ბაღი კარგად მოაწყონ სასეირნოდ და დროს გასატარებლად.

*** ქალაქის გამგეობაში ხელახლად აღიძრა ლაპარაკი მოსამსახურეთა დასაქირავებელ საქალაქო კანტორის დაარსების შესახებ.

*** კავკასიის მთავარ მართებლის კანცელარია ტფილისის გუბერნატორის პირით შეეკითხა ხელოსანთა მოურავს სეროზიანცს,—რა მიზეზია, რომ ხელოსანთა გამგეობა უწესრიგოდ და უკანონოდ აძლევს ხოლმე ოსტატობის მოწმობებსაო.

*** გუშინ, 23 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება, რომელიც შესდგება თავმჯდომარის ვ. ვ. ბალდირევისა, წევრის ი. ო. პარჩევსკისა და მდივნის ე. ი. ოვსიანიკოვისაგან,

ზაქათალაში წავიდა საქმეების გასარჩევად.

*** გაზ. „ახ. მიმ“. დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: შავის ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობა, რომ ჭიათურის რკინის გზით შავის ქვის გადასატანი გარდასახადი შემცირებულ იქმნასო, ხელ-ახლად უარ ჰყო სატარიფო კომიტეტმაო.

დანიშნულ იქმნენ: ტფილისის საგუბერნიო არქიტექტორად—ტრონოვი და განჯის საგუბერნიო ბეითალად—ჟუკოვსკი.

*** გაზ. „Кавк. С. хоз.“ სწერს: „თუმცა წელს სუსხიანი ზამთარი იყო, მაგრამ მაინც ჩაის მოსავალი არ წახდა არამც თუ ჩაქვასა, სადაც ყინვები 6—7° ადიოდა, არამედ ქუთაისსაც, სადაც, მაგალითად, სამეურნეო სკოლის სანერგეში ხშირად 9° ყინვა იყო ხოლმე. ჩაის მოკრება ყველაზედ ადრე, სახელდობრ, 27 აპრილს, ვუჩინის მამულში დაიწყეს. ფოთლები იმ ჩაის ბუჩქებიდგან მოჰკრიბეს, რომელიც 1894 და 1895 წელს იქმნა დარგული. სულ 370 გირვანქა ფოთოლი მოჰკრიბეს, რომლისაგან ოსტატ ჩინელების მიერ შემუშავების შემდეგ 74 გირვანქა სხვა-და-სხვა ხარისხის ჩაი გამოვიდა. ამ რიგად 5 გირვანქა ფოთოლი ერთ გირვანქა ჩაის იძლევა. ამავე დროს დაიწყეს ფოთლების მოკრება კ. ს. პოპოვის მამულებშიაც. ოსტატი ჩინელები ამბობენ, რომ ჩაქვაში ერთს ზაფხულს შეიძლება ჩაი 3—4-ჯერ მოიკრიბოსო“.

*** ტრუცის ცირკი, გუშინ, 23 მაისს, ტფილისიდგან ბაქოში წავიდა.

*** ამას წინად სიმფეროპოლში შეპყრობილი ვიღაც კაცი, რომელიც ამბობდა, რომ უგანათლებულესი თავადი გრუზინსკი ვარო, დანკოვის მოქალაქე აღმოჩნდა, გვარად სტეფანოვი. სტეფანოვი საპატიმროდგან საგიჟეთში გადაიყვანეს, რათა გამოარკვიონ, სულით ავადმყოფი ხომ არ არის. ტულასა და ბელგოროდში ეს ვაჟბატონი თავად ბებუთოვის სახელით სცხოვრობდა. სტეფანოვმა, სხვათა შორის, პოლიციას გამოუცხადა, რომ მე მეცნიერის ნიცშეს სწავლის მიმდევარი ვარო; ამ სწავლის ძალით, კაცს ნება აქვს რაც უნდა, ის ჩაიდინოს, მრწამს კაცის სულის გარდასახლება და ერთს წუთს ისიც შემიძლიან ვირწმუნო, რომ მე ნაპოლეონი ვარო, და სხვ. გაზ. „Крым. Вѣст.“ სიტყვით, ორი დღის წინად, ვიდრე სტეფანოვს დააპატიმრებდნენ, ხარკოვის გუბერნიიდგან გლეხები ჩამოვიდნენ სიმფეროპოლში ამ ვითომდა თავადთან ქუთაისის გუბერნიაში გარდასახადების შესახებ მოსალაპარაკებლადაო. აქ გლეხებმა შეიტყეს ყველაფერი და დაღონებული და გამწარებული უკანვე დაბრუნდნენო.

*** ბ-ნი ზ. ჭიჭინაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი შენიშვნა:

„მარტის თორმეტს გარდაიცვალა ტფილისის მოქალაქე სოლომონ დიმიტრის ძე ჯავახოვი, 33 წლისა, ვაჭარი, კეთილი და პატიოსანი ქართველი. განსვენებულს დიდად უყვარდა ქართული მწიგნობრობა, ქართულ საზოგადო საქმეებისათვის გული შესტკიოდა. განსვენებული იქამდის გულ-კეთილობით იყო სავსე, რომ სიკვდილის დროსაც არ დაივიწყა თავისი მოვალეობა, დამიტოვა 950 ცალი ქართული წიგნი, ევტუშევსკის არიმთეტიკა, თარგმანი გ. დიდებულიძისა, ფასი 50 კაპ. სულ 475 მანეთისა. განსვენებულის სურვილისამებრ, ეს წიგნები უნდა გაიგზავნოს და მუქთად დაურიგდეს სამეგრელოს სამრევლო და სახალხო სკოლებში, რასაკვირველია, იქ, სადაც ქართულს ენას ასწავლიან, ჯავახეთში და ზოგიერთს ასეთს მიყრუებულს კუთხეში; ამიტომ მივმართავ სამეგრელოს ზოგიერთ კეთილ-მოღვაწეთ და ვსთხოვ, რომ ამ საქმეში დახმარება მომცენ და მოითხოვონ, თუ სად რამდენი წიგნი იქმნება იმათთვის საჭირო. წიგნების გაგზავნისა და დარიგების შემდეგ გამოვაცხადებთ, სად რამდენი წიგნი გაიგზავნა.

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ საზრობას შემოსწირეს: ნიკოლოოზ ივანეს ძე ვაჟიკაშვილმა—10 ბოთლი ღვინო; იაგორ მაისურაძემ—ორი ყელ-სათბუნებელი, ერთი შალი და ორი დუჟინი ცხვირსახოცი; ელისაბედ აბრამიშვილისამ—ორი ყანწი და შანდლები; თამარა ქუჩუკაშვილისამ—მშვენიერი ბატის ფრთით ნაკერი ხავერდზედ ცხვირსახოცების ჩასაწყობი; აბრამ ელიზბარიშვილმა—სამი ყელსახვევი, ერთი შუშა დუხი, ერთი ქამარი, საკვოიაჟი და სამი ხელის საპონი; ა. პაპოვმა ორი დუჟინი ხელის საპონი და ექვსი შუშა დუხი: კნ. ოლგა, სოფიო, ვერა და ნადეჟდა ალექსანდრეს ასულთ ვიზირიშვილებმა—ექვსი მშვენიერი ნივთი; თამარა ნიკოლოოზის ასულმა ავალიშვილისამ—მშვენიერი სურათის ჩასადები, მალუცა ზუმბულიძემ—გაზეთის ჩასაწყობი, კალმით ნაკერი ხავერდისა; აბულაძისამ—ნაკერი პირსახოცი. მარიამ კონსტანტინეს ასულმა მხეიძისამ—ერთი ბალიში და კნიაჟ. ლიუდმილა კონსტანტინეს ასულმა ლორთქიფანიძისამ—ერთი ბარათების ჩასაწყობი.

## წერილი ზემო-კახეთიდგან

ამას წინად „ივერიაში“ მოხსენებული იყო, რომ სოფ. კონდოლი და ტოღნიანი დიდს საფრთხეში არიან კისისხევის წყლისაგანაო; დღეს თუ ხვალ ამოდენა სოფელს შთანთქავს და წარიყავს, თუ წყალს სხვა მიმართულება არ მიეცაო. როგორც გაზეთში გამოცხადებული იყო, მთავრობამ ნება დართო გლეხებს მოსჭრან სახაზინო ტყეში ფიჩხი და ხე წყლის გასამაგრებლად და სხვა მიმართულების მისაცემათ.

ადგილობრივმა პოლიციამ ისარგებლა ამ გარემოებით და გამოიყვანა ხალხი სამუშაოდ. ხალხმა ორი დღე იმუშავა და მესამე დღეს-კი შემდეგი მოახსენა მაზრის უფროსს:

1) ჩვენ, ამ მუშაობის დროს, უამისოდაც სასტიკ ზამთრისაგან და უამინდო გაზაფხულისაგან უკან ჩამორჩენილებს, როდესაც თითო დღე მილიონად გვიღირს, რადგანაც ამ დღეებში ვიმზადებთ წლის სარჩოს და ყოველ გვარს გარდასახადს,—სწორედ ამ დროს გაგვრეკეს და უნაყოფო საქმეს გვაკეთებინებენ. იმიტომ-კი არ მოგახსენებთ უნაყოს, რომ წყალს გამაგრება არ უნდოდეს, არამედ იმიტომ, რომ ჯერ მოგვაჭრევინეს 300-მდე საჟენი ფიჩხი და მერეკი გვიბრძანეს, დაადექით, რაც ამოირჩეს წნელი, ასხიპეთ და დანარჩენი დარჩესო. თუ წნელი უნდოდათ, რატომ წინათვე არ გამოგვიცხადეს; 300 საჟენს წნელად ხომ ერთი წელიწადიც ვერ გადავარჩევთ. 2) ეგ ხევი რომ მარტო ჩვენ ვამაგროთ, მთელი სოფელი ერთს წელიწადსაც ვერ მოვრჩებით და ჩვენს თავსა, ან ხელმწიფეს რაღა ვუყოთ, რით გავუძლვეთ? და 3) კონდოლის და ტოღნიანის მამულში ნასამედიც არ არის ჩვენი; ზოგი ხელმწიფისაა, ზოგი თავად-აზნაურობისა და ზოგიც, უფრო კარგი ნაჭრები, თელავის მცხოვრებლებისა. ასე რომ, სადაც საჭართალი გახლავთ, ყველა მემამულემ უნდა გავინაწილოთ, ქონებისა და გვარად, გალავნის გაკეთება და ხვედრს ფულს ჩამოვიდეთ. რაც შესდგება, ამას მივუმატოთ მთავრობისაგან ჩამოსული ფული, რადგანაც ხაზინას უფრო მეტი მამულები აქვს და სიმაგრის გაკეთება გავცეთ იჯარით.

მაზრის უფროსმა, მოისმინა რა გლეხების სამართლიანი ლაპარაკი, მიიღო იმათი საბუთები და უბრძანა: ბეგარისაგან გამინთავისუფლებიხართ და გინდ იჯარით გაეცით, გინდა სხვები მოიშველიეთ და, გინდათ, სრულიადაც ნუ გაამაგრებთ წყალს, მხოლოდ თუ წყალმა წაგიღოთ, ჩემთან ნუღარ მოხვალთ და ნუ შემომჩივლებთო.

სამართლიანი ბრძანებაა მაზრის უფროსისა; ხალხიც დიდად გახარებული იყო და ძალიანაც ჰლოცავ და უფროსს, თუმცა კარგი იქნება, რომ მაზრის უფროსმა იძულებულ ჰყოს კონდოლის მემამულენი, გლეხებთან ერთად თავად-აზნაურნიც და თელავის მცხოვრებნიც, რათა მათ წესიერი მონაწილეობა მიიღონ ამ საჭირო და სამაგალითო საქმეში და თავისი წვლილი გამოიღონ, რადგანაც იმათი მამულებიც ისეთსავე საფრთხეში არის, როგორც გლეხებისა... თორემ ვინ გაუგონებს გლეხს კაცს და ვინ დაჰყვება იმის სამართალს, თუნდ იგი მზესავით ნათელი იყოს.

სარიძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. აწყური**, (თელავის მაზრა). ძნელად თუ სხვა რომელიმე კუთხე თუ მხარე ქვეყნისა დაითმენს და გამოსცდის ამისთანა ჭირ-ვარამს, როგორიც მოგვკრეს ჩვენ აწყურელებს ამ უკანასკნელ სამს წელიწადში. სეტყვა თუ ქარი, დაყინებული წვიმა-ნიაღვრები, საქონლის ჭირი, ხალხის ზარალი, ერთის სიტყვით, ყველა ჭირმა და სატკივარმა ჩვენზედ გამოიჩინა თავისი ძალა და ღონე. უამისოდაც მცირე მამულ-დედულის, სახნავ-სახოსტნე ადგილებით გულ-დაჩაგრულნი მკვიდრნი ბუნებამ უარესად დაგვჩაგრა და დაგვიწყლულა გული და სასოება წარგვიკვეთა შემდეგის მხნეობისთვის. ერთის წლის ზარალს ყველანი გაუძლებდნენ, წარმოიდგინეთ მეორე წელიწადი უარესის ნაკლებულობითა და გატეხილ-გაწეწილი მოგვადგა კარს და ამას დასძინეთ ზედ მესამე—სეტყვისაგან დასუსტებული და სხვა და-სხვა სატკივრისაგან დაზიან-დასნეულებული. ვგონებ, რომ გლეხის კაცისთვის, რომელსაც სხვა, მუდამ დღიურის გარჯა-მხნეობითა და სისხლის ოფლის ღვრით მოპოებულ ლუკმის მეტი, ჯამაგირი არა ეძლევა-რა, ამისთანა ზედ-მიყოლებითი ზარალი დიდი განსაცდელი და მოსანელებელი რამ უნდა იყოს. ნათქვამია ქართულ ანდაზად: „ყველა დაბადს დობზედ გადადისო“, და აი, სწორედ ჩვენს თავზედაც ასე მოხდა.

ბუნების გარდა, დაღონებულმა ღმერთმაც ჩვენზედ აიღო ხელი. არ იქნა, აღარ გვეღირსა ერთი რიგიანი მოსავალი, აღარც ღვინისა და აღარც პურისა, ყოველ წლიური ხარჯ-ხორჯის გარდახდა-კი თავისას არ იშლის. კარგი, ე ღვინის მოუსავლობა ყურის მიუვლელობით სხვა-და-სხვა სატკივრის მიზეზს დავაბრალოთ, ე პურის მოუსავლობა რაღა არის, რომ ხან ის ოხერი ქვისრილია (სეტყვა) გაგვანადგურებს და თუ მას გადარჩა კიდევ, ან უნდა ფუშრიად იქცეს და ან კიდევ თიაქარსლა, ღვარძლ-ბალახ-ბულახით უნდა შენელდეს. მაგრამ დიდება კიდევ ღვთის განგებას, რომ ხალხი ჯერ არ დაცემულა მხნეობით. „განა ღმერთი სულ ყოველთვის ხელს აიღებს კაცზედ, ერთიც იქმნება გულს მოიბრუნებს და დაგვიბრუნებს მამა-პაპურ ზღვა მოსავალსაო“!.. აი, ამ იმედით გამხნევებულნი, ერთი-ორად და ერთი-ათად უმატებენ მხნეობას.

წინედ, როდესაც სანივრეს გარეთად ძნელად თუ რომელიმე მიაკარებდა ბარ-

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

დღეს საქვეყნო საზრობაა,
ქართველებო, ქართველთათვის,
ღარიბ-ღატაკ მოძმეთ შვილთა
წარმატება-სწავლისათვის;
მო, წავიდეთ ყველანი იქ,
ნუ ვიძუნწებთ ერისათვის,
გვახსოვდეს, რომ მამა-პაპა
სისხლსაც ჰღვრიდა ქვეყნისათვის.

დ. მაჩხანელი

## წვრილმანი

### III

### ეშმაკის მუშა.

ამას წინად პოლონეთში გარდაიცვალა ერთი ფრიად შესანიშნავი მწერალი, შანიავსკი, რომელიც უფრო ფსევდონიმით სწერდა, კლემანს იუნომად იყო ცნობილი. მისი რომანი „ეშმაკის მუშა“ თარგმნილია ყველა ენაზედ და ძალიან სამწუხაროა, რომ ქართველ მკითხველს, მეტადრე სოფელში მცხოვრებს, არავინ გააცნო ეს ჩვენთვის საინტერესო თხზულება.

თუმცა პოლონელის დაწერილია, მაგრამ იმასთანა სინამდვილით არის დახატული სოფელში მცხოვრებ, გამრჯე თავად-აზნაურთა გაჭირვება, რომ უცხო სახელები რომ არ იყოს, ცოცხალი სურათი იქნებოდა ჩვენის ცხოვრებისა. აწერილია კარგად შემძლებელი აზნაურშვილი, რომელსაც მამამ დიდი მამული დაუტოვა და ზედაც დიდი ვალი. მამას ძალიან უყვარდა კეთილი ცხოვრება, სულ იმას იძახდა—ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნუღარა დებულაო!—და რადგან მამულით თითონვე ძლივს იკმაყოფილებდა თავის დიდებულს მადას, ბანკში შესატან ფულს ებრაელისაგან სესხულობდა. მართალია, ამ მხრივ ქართველ კაცს არა ჰგვანებია, მაგრამ ეგ არაფერი: თუმცა იშვიათად, მაგრამ ჩვენშიც იყო თითო-ოროლა, რომელიც ბანკში შესატან ფულის საშოვნელად ყოველთვის არა ჰყიდდა წვრილ-წვრილად მიწებსა და ვენახებს. ერთის სიტყვით, დიდი მამული იყო, მაგრამ ჯერ ბანკს ჰქონდა იგი გირაოდ და მერე ებრაელს.

მოკვდა მამა და დატრიალდა შვილი. შვილი მცოდნე კაცი იყო, შეგნებული, შრომის მოყვარე და დაიწყო მუშაობა და მამულის გაუმჯობესება; იმედი ჰქონდა, იმდენად გავაუმჯობესებ მამულს, რომ მისის შემოსავლით ბანკის ვალსაც გარდავიხდი და ებრაელისასაცაო. მთელს შემოსავალს მამულსავე ახმარებდა, ბანკის სარგებლის გარეშე, რასაკვირველია. თითონ ყველაფერს იჭირვებდა, ცოლ-შვილს ყველაფერს აკლებდა და სულ მამულისათვის ხარჯავდა, რაც-კი რამ ჰქონდა; მამულს ანაცვალა თავისი სიყმაწვილე და თავისი ძალ-ღონე, მამულისთვის მოაკლო თავის ცოლ-შვილს ყოველი სიამოვნება და სიხარული, რადგან, სადაც უნდა წასულიყო, უკეთ იცხოვრებდა, ვიდრე თავის მამულში. ბანკის სარგებელს ადვილად იხდიდა და ებრაელის ვალი... იმისთანა მოკრძალებით ექცეოდა მოხუცებული ებრაელი, თითქო მადლობას უხდის, რომ მისმა მამამ თავი გაუყადრა და ვიღაცა ურიას ფული გამოართვა. რის ვალი, რა ვალი?რა სახსენებელია? ჩვენში განა ეგ ანგარიშები უნდა იყოსო?! და გადიოდა დრო... მემამულე დღითი დღე აუმჯობესებდა და აძვირფასებდა თავისს მამულს... და ურიის ვალს სარგებელი და სარგებლის სარგებელი ეკეცებოდა ზედ.

ხომ ცხადია, რით უნდა გათავებულიყო ამგვარი დამოკიდებულება? ისიც ხომ ცხადია, რად ვთარგმნეთ ჩვენ ავტორის „სიზიფი“ ეშმაკის მუშად?..

გვინდოდა ამით გაგვეთავებინა, მაგრამ, ამ ჩვენთვის ფრიად ნაცნობის სურათების გარდა, ერთი სხვაც არის, იმასთანა ცხოველის ფერადით დახატული, რომ ურია რომ არ ერქვას, თვალ-წინ ჩვენებურ ურიაზედ ერთი ათასად უსაშინელესი ჩარჩი წარმოგიდგებათ. წამოეზარდნენ ჩვენს ებრაელს შვილები, ბევრი საქმე ჩამოართვეს მოხუცებულს მამას და ყოველთვის და ყოველგან მოხუცებულის სიტყვას ისმენდნენ და მის დარიგებას მისდევდნენ, მაგრამ აზნაურის ვალმა-კი საშინელი უსიამოვნება ჩამოაგდო მოხუც ებრაელის ოჯახში; შვილები იძახდნენ:

— კმარა, რაც ვადროვეთ; ჩამოვართვათ მამული, თორემ ისე იმატებს ჩვენი ვალი, რომ მამული იმად აღარ ეღირებაო!

მოხუცებული ებრაელი-კი სულ სხვა აზრისა იყო:

— რა გინდათ, რას ჩასციებიხართ, რას აშავებს ის უბედური?! ბანკის ვალს იხდის, მამულს უვლის და აკეთებს... ჯამაგირს არ მისცემთ, მოურავი რომ გყავდეთ?! რა ვუყოთ, რომ პატრონი ჰქვიან? ხომ იცით, რომ პატრონი თქვენა ხართ და ის თქვენი მოურავია?! დეეთ, იყოს და იმუშაოს. ხომ იცით, რომ თქვენთვის ჰმუშაობს!

გავიდა დრო... კარგად მოაწყო საქმე მემამულემ, ბანკის ვალი გაანახევრა, მამული სამაგალითოდ გააკეთა... მაგრამ ამ დროს მოხუცებულმა ებრაელმა თქვენი ჭირი წაიღო და მისმა მემკვიდრეებმა ხელიდგან გამოაცალეს საწყალს აზნაურს მამა-პაპეული, ნაჭირნახულევი მამული. ხელიდგან გამოაცალეს, მაგრამ, ღვთის წინაშე, ის კი არ უთქვამთ, რომ პოლონეთი სადლა არის, ეს ქვეყანა ჯერ ისევ ადამის დროიდგან ჩვენი ყოფილა და ჩვენი უნდა იყოსო...

?

სა და თოხს თავისს ვენახს, ეხლა თითქმის ყველას თავით-ბოლომდე დაბარულ-დათოხნილი აქვს ვენახები და მასთან მშვენივრად შეყელილ-გასუფთავებული, რა არის, იქნებ უკეთესად ვენახების გაკეთებამ მაინც წაიწიოს წინ ჩვენი მოსავალიო. წინად ძალიან იშვიათად თუ მოსწრებია ვინმე აწყურში სეტყვას და ეხლა-კი ამ უკანასკნელს სამს წელიწადში ყოველ წლივ სამჯერ და ოთხჯერ დაგვრეკავს, რის გამოც ყოველის ქუხილის ხმა შიშსა და გულის კანკალს გვგვრის ხოლმე. ზამთარმა დიდად შეგვტუქსა, რამაც ხალხი ძალიან დააზარალა. თითქმის შიგ რჩეულად საღი და ჯანმრთელი ბიჭები დაიხოცნენ რაღაც ერთგვარის ავადმყოფობით. ხალხის გარდა, არც ვაზები გადარჩა დაუზიანებლად შეუბრალებელისა და მკაცრს ზამთარს. ადგილ და ადგილ ვენახებში თითქმის ნასამეღი და ნაოთხალი (დედა) ვაზი გადახმა. მაგრამ, სამაგიეროდ, რაც კი გადარჩა, გასაკვირვლად ამოიტანა ყურძენი. მაგრამ რა გამოვიდა, ჩვენი ღვინის მოსავალი თითქმის მოუსავლობასთანვე არის. რადა? იმიტომ, რომ თავის გაჭირვების დროს კაცს ვერ გამოუყენებია. მოკლენ შემოდგომაზედვე ვითომ და მართლა კაი ფულისა და პატიოსნების მქონე, ცხრილ-ქვეითი—ანაზღერტა მოსირაჯებული ჩარჩები და შეამღვევენ ღვინის პატრონს ნახევარსა და უფრო ნასამედს ღვინის ღირებულის ფასისას. რა ჰქმნას საწყალმა გაჭირვებულმა კაცმა. არ მისცეს იმ ფასად, მაშ რითი გასცეს პასუხი ათასგვარ გარდასახადს ხარჯ-ბორჯისას, სახლსა და კარს რითი მიუგდოს ყური, მტერსა და მოყვარეს რითი დახვდეს! მისცეს და მარტო თავის თავზედ მიღებულ ხარჯის მეტს ვერა ჰფარავს, ცოლშვილი ვიღას ანაბარა დასტოვოს? იმუღლებული ხდება საწყალი გლეხი, ისევ თავისისავე სისხლის ოფლით ნაშრომ-ნაღვაწ ჭირნახულზედ თითონვე გაიხაროს, სანანურად ხომ აღარ გაუხდება! სხვაც არა იყოს-რა, დროებით მაინც დაივიწყებს ჭირვარამს. ღმერთო, როდის იქნება, რომ საწყალ გლეხ-კაცის (უმეტეს კახლების) წლიურ ოფლის ღვრით ნაშრომ-ნადაგს ბაზარი მიეცეს, ამითი ეშველოს იმასაც, როგორც ღვთის გაჩენილს, წელში გაიმართოს.

ივ. ხუციშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „კავკასში“ დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ თავად ალექსანდრე ბიძინას ძის ერისთავისა:

„10 მაისს, ზღუდრობის დღესასწაულისა გამო, ცხინვალში წავედი ტყის მასალის სასყიდლად და მეგობრების სანახავად. ამ დღეს ცხინვალში ვაჭრობა იმართება და გლეხებს მახლობელ სოფლებიდგან საქონელი მოჰყავთ და სხვა და-სხვა სურსათი მოაქვთ გასასყიდად. სხვათა შორის ამ იარმუკაზედ სოფ. მარანის აზნაურმა ნიკო ტატიშვილმაც მორეკა ორი ძროხა, მაგრამ რადგანაც შუადღემდის ვერ გაჰყიდა, ძროხები გარეთ დააბა და თვითონ პურის საჭმელად იქვე, მომრიგებ. სასამართლოს შენობის მახლობლად, დუქანში შევიდა. ვერც-კი მოასწრო ხეირიანად დანაყრება, რომ იმის ძროხები სადღაც გამქრალიყო. საქონლის პატრონი აქეთ ეცა, იქით ეცა და ძალიან გაუკვირდა, როდესაც დაინახა, რომ იმის ძროხებს ვიღაცა ოსი 20 მანეთად ჰყიდდა. ტატიშვილმა წაართვა იმ ოსს ძროხები და დუქნისაკენ გამორეკა, რომ თავისი ნივთები აელო და შინ წასულიყო... მაგრამ არ გასულა ბევრი ხანი, რომ მოვარდნენ ჩაფრები თედო ფუხაშვილის მეთაურობით და ჩხუბი დაუწყეს ტატიშვილს, ძროხები რად მოიპარეო. ამ დროს მათთან მივიდნენ თა. მიხეილ ლევანის ძე ერისთავი და ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ფავლენიშვილი, რომელთაც კარგად იცოდნენ, რომ ძროხები ტატიშვილისა იყო. ჩაფრებს ურჩიეს, ძროხები პატრონს დაუბრუნეთ, თორემ ამ საქმეს მთავრობას შეატყობინებთო, მაგრამ იმათ ყურადღებაც არ მიაქციეს ამ რჩევას. შემდეგ არეულობა მოხდა, რომლის დროს ოსებმა საქონელი გაირეკეს და სადღაც მიიმალნენ. იღბალზედ საიდგანღაც ბოქაული ბ-ნი დუბანოსი გაჩნდა, რომელმაც უბრძანა ჩაფრებს ძროხების მოძებნა, ხოლო თედო ფუხაშვილი სამსახურიდგან დაითხოვა.

ბ-ნი დუბანოსი სინდისიერად ასრულებს თავის თანამდებობას, მაგრამ კაცებს ნაკლებად იცნობს. ეს სხვათა შორის იქიდგანაც მტკიცდება, მაგალითად, რომ იმას კანცელარიაში მწერლადა ჰყავს ბელოთის სოფლის მამასახლისად ნამყოფი ნოზაძე, რომელიც გამოგდებულ იქმნა ქრთამებისა და სხვა უწესო საქმეებისა გამო (მაგალითად საკვიტანციო წიგნში, რომელიც სულ 9 კაპ. ღირს, ის მცხოვრებლებს 50 კაპ. ართმევდა ხოლმე). მე ხელთა მაქვს ამ ნოზაძის ერთი ბრძანება, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: „ბრძანება დიცის მამასახლის ან ერედვის თანაშემწეს. გიბრძანებ თქვენ ხვალვე გამოგზავნოთ ერთი საძნე ურემი ბზე. 12 ნოემბერი 1897 წელ. ცხინვალის ნაწილის ბოქაულის მაგიერ ნოზაძე“. ქვეით ბეჭედი აქვს დასმული. გახაზული სიტყვები რუსულად არის დაწერილი, დანარჩენი ქართულად. ვინ არის ეს ნოზაძე, რომ ბოქაულის თანამდებობას ასრულებს? ვინ მისცა მას ამის ნება? რა ხარჯია ეს ხარჯი, ან ვისთვის არის იგი? ყველა ეს სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს. ვიდრე ჩაფრებად ოსები არიან, იმ დრომდე ჩვენში ქურდობა და ავაზაკობა არ მოისპობა და ვიდრე მწერლობას ნოზაძისთანა კაცები ასრულებენ, ქრთამის აღება და ხალხის მოტყუება მუდამ იქმნება.“

## რუსეთი

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაადგინა დაარსებულ იქმნას უმაღლესი სამთო სასწავლებელი ქ. ეკატერინოსლავში. სამინისტროს განაჩენი დასამტკიცებლად წარედგინება სახელმწიფო საბჭოს შემოდგომის სესსიას.

— შინაგან საქმეთა სამკურნალო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული ფარმაცევტთა და მათ თანაშემწეთა სამუშაოს გაწეს-რიგებისა და მეაფთეაქეთათვის განსაკუთრებულ სავალდებულო წესების შემუშავების შესახებ.

— განზრახვა აქვთ რკინის გზის მატარებლების ვაგონებში დასდგან განსაკუთრებული მანქანები, რომელთაც ყოველ სადგურთან მიახლოვების დროს უნდა გამოჰკიდონ ფირფიტა და ფირფიტაზედ აღნიშნულ იქმნება სადგურის სახელ-წოდება.

— უწმიდესმა სინოდმა დაავალა იმ სასულიერო სასწავლებლების მთავრობას, რომელსაც შეძლებაცა აქვს და თავისუფალი ადგილიც მოეპოვება ბაღ-ბოსტნის გასაშენებლად, მოსწავლეთ ბაღოსნობა ასწავლონ.

— სახელმწიფო ბანკის კასსებსა და განყოფილებათ ბრძანება მისვლიათ, რომ 10 მანეთიან ქაღალდის ფულს ნუღარ გასცემთო. ამ გვარად ჯერ ჯერობით მხოლოდ 3, 25 და 100 მანეთიანი ქაღალდის ფული-ღა იქმნება ხმარებაში.

— 1898 წლის 1 იანვრისათვის 4,315 შემნახველ-გამსესხებელი კასსა და განყოფილება ყოფილა მთლად რუსეთის იმპერიაში. შესანახად შეუტანიათ 494,337,373 მან. 27 კაპ., წარსულს წელთან შედარებით კასსების რიცხვს მოჰმატებია 172 და მეტი შეუტანიათ 65,524,590 მან. 90 კაპ.

## უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** ომის შესახებ ჯერ კიდევ ნამდვილი არაფერი მოსულა. გაზეთები, ჩვეულებრივ, სხვა-და-სხვას გაიძახიან. გაზ. „ნიუ-იორკ ჰერალდ“ ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ადმირალის სამპსონის ესკადრამ ყუმბარები დაუშინა სანტ-იაგოს და სრულიად გაანადგურა სერვერის ესკადრაო. ამავე დროს, სხვა გაზეთები იუწყებიან, ნიუ-იორკში ჯერ კიდევ დარწმუნებული არ არიან, რომ სერვერის ესკადრა სანტ-იაგოშია. სხვათა შორის, „Times“-ის ამერიკელი კორესპონდენტი სწერს, საეჭვოა, რომ ესპანიის ესკადრა სანტ-იაგოში იყოს, რადგანაც არც სამხედრო გემებს, არც გაზეთების აუარებელ კორესპონდენტებს, რომელნიც მრავლად არიან კუბასა და სხვა კუნძულებში, ამის შესახებ არაფერი არ გაუგიათო. მცოდნე კაცები ამბობენ, ადმირალი სერვერი რომ მართლა სანტ-იაგოში იყოს, შლეი, რომლის ესკადრაც სანტ-იაგოს მახლობლად სდგას, აქამდის ამ ამბავს დეპეშით შეატყობინებდა მთავრობასაო. ამიტომ ვაშინგტონში ამ ჟამად დიდი მითქმა-მოთქმაა, ყველას უნდა ნამდვილი გაიგოს და შეიტყოს, სად იმყოფება სერვერის ესკადრაო.

— გაზ. „Новости“ სწერს: „კუბაში მყოფი ესპანიის ესკადრის მომავალ გამარჯვებას ან დამარცხებას მეტად დიდი გავლენა ექმნება ამ სახელმწიფოს შინაურ საქმეებზედ და საზოგადოდ შინაურ პოლიტიკაზედ. ადვილად შესაძლებელია, რომ სერვერის დამარცხებას კარლისტთა და რესპუბლიკანელთა ამბოხება მოჰყვეს. კარლისტებს დიდი ძალა და გავლენა აქვთ განსაკუთრებით ჩრდილოეთ პროვინციებსა და კატალონიაში, სადაც მათი მხარი უჭირავს სოფლის სამღვდელოებას. რესპუბლიკანელნიც მარჯვე შემთხვევას ელიან, რომ საგასტას სამინისტრო დასცენ და იმის ადგილას სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა თავიანთ მომხრეს სალმერონსა ან პი-ი-მარგელს ჩააბარონ. ხოლო თუ დამარცხების ნაცვლად, სერვერიმ გაიმარჯვა, ეს გარემოება ერთი ორად უფრო გააძლიერებს და ხალხის თვალში უფრო აამაღლებს ესპანიის აწინდელს დედოფალს და იმის მცირე წლოვან შვილს, მეფე ალფონს XIII-ს“.

— გაზ. „Standard“-ის კორესპონდენტი იუწყება: „შეერთებულ შტატების მიერ ამ ბოლოს დროს მოწვეული ჯარი ისევე ცუდათ არის შეიარაღებული და საზოგადოდ მოწყობილი, როგორც ის ჯარი, რომელიც ომის დაწყობისას მოიწვიეს. მსროლელთა რაზმებს ზარბაზნები არა აქვთ, ხოლო ცხენოსანთ—ცხენები არა ჰყავთ. თვით გენერალმა მაილსმა გადასცა გაზეთის კორესპონდენტებს: ჯერ კიდევ ბევრი დრო გვინდა ჩვენი ჯარი იმდენად მოვაწყოთ, რომ მათი კუბაში გაგზავნა შეიძლებოდეს. ჯარი ჯერ არ არის გაწვრთნილი და შეიარაღებული, გარდა ამისა არც საკმაო სურსათი და ტანისამოსი გვაქვს მზად. მაგრამ იმედი მაქს მცოტა ხანში ყველაფერი მოვაგვაროთ და მოვამზადოთ“.

— იაპონიის გემის „აკუტსიშინას“ კაპიტანს, რომელიც ამ დღეებში დაბრუნებულა მანილიდგან გონკონგს, უთქვამს: „მანილში საშინელი შიმშილობაა; ერთი გირვანქა ცხენის ხორცი $1\frac{1}{2}$ დოლლარად (3 მანეთად) იყიდება. ჯარისკაცებსა და თავისუფალ მეომრებს აღარც ჯამაგირს და აღარც სურსათს აღარ აძლევენო“.

—

**ინგლისი.** გლადსტონის დასაფლავება. როგორც გაზეთები იუწყებიან, გლადსტონის გვამი ისეთის პატივითა და დიდებით იქმნა დასაფლავებული, როგორითაც ინგლისში ჯერ არც ერთი კაცის გვამი არ დაუსაფლავებიათო. ედინბურგისა და დუბლინის ლორდების გარდა ყველა დამსწრეთ შავი სერთუკი ეცვათ. უელსის პრინცი, იორკის ჰერცოგი, პირველი მინისტრი მარკიზი სალისბიური, დეპუტატი ბალფური, ლიბერალთა დასის მეთაურნი როზბერი, გარკოდტი და კიმბერლეი სამგლოვიარო ეტლს გარეშემო ედგნენ და იმის ფუნჯები ეჭირათ ხელში. დედოფლის ვიქტორიის წარმომადგენლის შემდეგ რუსეთის წარმომადგენელი, ელჩი სტაალი იდგა, შემდეგ წარმომადგენელნი იტალიისა, დანიის, შვეციის, ბელგიის მეფეებისა და ჰოლანდიის დედოფლისა. კუბოს მარჯვენა მხარეს ლორდთა პალატის წევრები იდგნენ, ხოლო მარცხენა მხარეს—საზოგადოებათა პალატისა. მინისტრების მახლობლად ადგილი ეჭირათ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებს: ინგლისის გაზეთების რედაქტორებსა და უცხო სახელმწიფოთა გაზეთების კორესპონდენტებს. წირვა გადაიხადა კენტერბერიის მთავარ-ეპისკოპოსმა. საეკკლესიო ორღანომ შეასრულა ბეთხოვენისა და შუბერტის სამგლოვიარო მარში. შემდეგ იგალობეს გლადსტონის მიერ შედგენილი საეკკლესიო საგალობელი. როდესაც გამოთხოვების დრო მოახლოვდა, ყველას აღელვება დაეტყო და თვალებზედ ცრემლები მოერია. ყველანი მწარეთ სტიროდნენ და მათ შორის მარკიზი სალისბიური, ბალფური, გარკოტტი და როზბერიც. განსაკუთრებით დამსწრეთა ყურადღება მიიქცია განსვენებულის გლადსტონის ქვრივმა, რომლის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ვესტმინსტერის სააბატსტვოს გარეშემო ყველა სახლები სამგლოვიაროთ იყო მორთული. ქუჩაშიაც-კი ყველას სამგლოვიარო ტანისამოსი ეცვა.

## სასამართლოს მატიანე

პეტრე ბადუროვის საქმე.

პარასკევს, 22 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა პეტრე იაგორის ძის ბადუროვის საქმე, რომელსაც ისა ჰბრალდებოდა, რომ ცოლის მოკვლა განიზრახა და ამ აზრით რევოლვერი ესროლაო. სასამართლოს თავმჯდომარეობდა მ. მ. შარიგინი და წევრებად იყვნენ: პ. ა. პაშიკოვი და საპატიო მომრიგებელ-მოსამართლე ა. ი. ოდნოსუმოვი. ბრალსა სდებდა ბრალმდებლის ამხანაგი ა. ა. კრასოვსკი, იცავდა ნაფიცი ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი. აი ამ საქმის გარემოება:

პეტრე ბადუროვმა ცოლი შეირთო 1896 წელს. ქორწინება მოხდა შეყვარებისა გამო და ეს სიყვარული იყო იმის მიზეზი, რომ ბადუროვმა სწავლა არც-კი დაამთავრა სამასწავლებლო ინსტიტუტში, საპატარძლოს გამუდმებულის თხოვნის გამო, რომ ჩქარა ჯვარი დავიწეროთო, და შეირთო კიდეც. დანაშაული იქმნა ჩადენილი ამ წლის 15 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, სახელმწიფო თეატრის მოედანზედ, კორპუსის პირდაპირ. ბრალდებული ამ ადგილას შეხვდა თავისს ცოლს, რომელიც სხვებთან ერთად თეატრში მიდიოდა და ხელი მხარზედ დაადო იმ აზრით, რომ ვითომ უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ ცოლმა დაიკივლა და გაიქცა წინ, მაშინ სრულიად მოულოდნელად ჯიბიდგან რევოლვერი ამოიღო და ესროლა. ტყვიამ გვერდზედ გაუარა ბადუროვის ცოლს და თავი სუბუქად გაუფხაჰნა იმისს თანამგზავრს ქ-ნ ბარაკოვსკისას.

ბრალდებული სასამართლოს დარბაზში შემოიყვანეს ჯარის-კაცთ. თუმცა ახალგაზდაა, მაგრამ სახეზედ ეტყობა, რომ ბევრი ტანჯვა წვალება უნდა გამოევლოს ცხოვრებისაგან. ძლიერს სულიერ მღელვარებას დიდი დაღი დაუსვამს იმისს სახეზედ. კეთილი და მიმზიდველი სახე გაუფითრდა, როდესაც მოწმეთა შორის დაინახა ძიძა თავისის ერთის წლის შვილით. ბრალდებულის თხოვნით ბავშვი მიიყვანეს მამასთან, რომელიც გადაეხვია შვილს და სიამოვნებით დაჰკოცნა.

მოწმეებად გამოწვეული იყო 6 კაცი, რომელთაგან ყველანი გამოცხადდნენ სასამართლოში ბადუროვის ცოლის გარდა; მან-კი უარი განაცხადა, არაფერს ვიტყვი, როგორც ბრალდებულის ცოლიო. საქმის გარჩევის დაწყებისათანავე ბრალდებულის დამცველმა მოახსენა სასამართლოს, რომ საქმე ხალხის დაუსწრებლად იქმნას განხილულიო, და სასამართლომაც შეიწყნარა დამცველის თხოვნა.

ნაშუადღევის 4 საათზედ, სასამართლომ გამოაცხადა შემდეგი განაჩენი: ბრალდებული პეტრე იაგორის ძე ბადუროვი ცნობილ იქმნას დამნაშავედ, რომ განრისხებისა და გამწვავების დროს განიზრახა ცოლის

ნადეჟდის მოკვლა რევოლვერით და უცაბედად-კი ქ-ნი ბარანოვსკისა დასჭრა, რის გამოც ჩამოერთვას ყოველივე უფლება და უპირატესობა და გაგზავნილ იქმნას პატიმართა განყოფილებაში ერთის წლისა და ექვსის თვის ვადით, მაგრამ იმ განსაკუთრებულ, შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო, რომელთა დროსაც ჩადენილია ეს დანაშაული, შუამდგომლობა იქმნას აღძრული ხელმწიფე იმპერატორის წინაშე სასჯულო საქმეთა მინისტრის მიერ, რომ ამ სასჯელის ნაცვლად დამნაშავე საპატიმროში დაპატიმრებულ იყოს ერთის წლით უფლების ჩამოურთმევლად.

განაჩენის წაკითხვის შემდეგ ბრალდებული დამცველის თხოვნისა და ბრალმდებელის აზრის თანახმად განთავისუფლებულ იქმნა 2,000 მან. თავდებობით.

## ნაკვესი

სასწავლებელში.

— ხომ აგიხსენით, რაც არის გამოკლება. ვთქვათ, გლახას ვაჩუქე ერთი აბაზი, ორის შაურისა ნახევარ ჩარექა ღვინო დალია. რამდენი დარჩება?

— ორი შაური.

— მაგ მოქმედებას რა ეწოდება.

— გადაკვრა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 მაისი

**პარიჟი.** 2 ივნისი. პალატა. დიდძალმა დეპუტატებმა მოიყარეს თავი; დიდი მითქმა-მოთქმაა. შეუდგნენ დროებითის პრეზიდენტის არჩევანს. სახელდობრივ ხმის მოკრებით 562 მისცა ხმა: დეშანელს ამოუვიდა 282 კენჭი და იგი იქმნა ამორჩეული ბრისსონის წინააღმდეგ, რომელსაც 278 კენჭი ამოუვიდა.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 3½-დგან 3%-მდე.

**ბელგრადი.** პაშიჩს მილანის შეურაცხებისათვის 9 თვით საპატიმრო გარდაუწყვიტეს.

**რომი.** მეფემ ინახულა დი-რუდინი და მოიწონა სამინისტრო კაცთა ნუსხა, რომლითაც დი-რუდინი ინიშნება პრეზიდენტად, შინაგან საქმეთა მინისტრად და დროებით მიწათ-მოქმედების მინისტრად, კაპელლი—გარეშე საქმეთა მინისტრად, ბონაჩჩი—სასჯულო საქმეთა მინისტრად, ბრანკა—ფინანსთა მინისტრად, ლუცატი—ხაზინის მინისტრად, მარცანო—სამხედრო მინისტრად, ვიცე—ადმირალი კანევარო—ზღვათა მინისტრად, კრემონა—საერო განათლების მინისტრად, რივერა—საზოგადო საქმეთა მინისტრად და ფროლა—ფოსტათა მინისტრად.

**პარიჟი.** 1 ივნისი. პალატა. ბუასსემ გამოაცხადა შედეგი დროებითის პრეზიდენტის ამოსარჩევად მოკრეფილის ხმისა: სულ 556 ხმაა მოკრებილი, ცარიელი ხმის აღსანიშნელი ფურცელი სამია, სახელიანი 553, უმეტესობას 277 ხმა შეადგენს. ამოუვიდათ: დეშანელს—277, ბრისსონს—276 (შუაგულს დასში ტაშის ხმა გაისმის, მემარცხენეთა შორის—უკმაყოფილების ხმა). დეშანელი მთავრობის რესპუბლიკელთა კანდიდატია: მდივანმა ჟურდმა შენიშნა, რომ რადგან ერთი ბარათი იატაკზედ დაეცა, ამიტომ ბიუროს არჩევანთა შედეგის განცხადება არა ჰსურს და პალატისათვის მიუნდვია ამ საგნის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვასო. პუანკარემ სთქვა, რომ დაკარგული ფურცელი შედეგს ვერ შესცვლის, რადგან უმრავლესობა ცაწერილ ფურცელთა კვალობაზედ უნდა იყოს ნაანგარიშებიო. ბურჟუამ ის აზრი გამოსთქვა, რომ პრეზიდენტის უფლება შეუცილებელი უნდა იყოსო. ზოგიერთმა მოითხოვეს, რომ ბიურომ გვაცოდინოს თავისი აზრიო. მდივანს რეილს უნდა რაღაცა სთქვას, მაგრამ იმისი ხმა მემარცხენეთა ხმაურობის გამო არ ისმის. 10 წუთს გაისმოდა ყვირილი, ბრახუნი, ღრიანცელი. ბუასსემ სთქვა, რომ შევწყვიტოთ კრებაო, და ყვირილსა და მღელვარებაში ჰშორდება თავისს სავარძელს. სხდომა შეწყვეტილ იქმნა. სხდომის ხელ-ახლად დაწყების შემდეგ ბიურომ ის აზრი განაცხადა, რომ ხვალ განვაახლოთ დროებითის პრეზიდენტის არჩევანიო. ეს წინადადება, დეშანელის სურვილის თანახმად და მცირეოდენის კამათის შემდეგ, შეწყნარებულ იქმნა. ვიცე-პრეზიდენტად ამორჩეულია სარრიენი (რადიკალ-რესპუბლიკელი). სხდომა შეწყვეტილია.

**ნიუ იორკი.** ჰავანიდგან დეპეშით იუწყებიან: „აქ გამოცხადებულია ოფიციალური ანგარიში იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც სანტ-იაგოსთან მოხდა. ამერიკის ფლოტმა, რომელიც 7 დიდისა და 6 პატარა გემისაგან შესდგებოდა, 31 მაისს სანტ-იაგოს ნავთ-სადგურის დასავლეთ მხარეს დაიჭირა საომარი ადგილი. პირველმა ხუთმა გემმა დაიწყეს სროლა. ისპანიის სამხედრო ხომალდმა „Colon“-მა ღუზა ჩაუშვა ზღვაში და პუნტაგანდასთან შეჩერდა. მორროს, ლაზეკაპას, პუნტაგანდას სიმაგრეებიდგანა და სამხედრო ხომალდ „Colon“-იდგან დაუწყეს ზარბაზნებითვე პასუხის ძლევა ამერიკელებს. ამერიკელებმა 70-ჯერ დასცალეს ზარბაზანი, მაგრამ ვნება არავისათვის მიუყენებიათ. ყუმბარების სროლამ 90 წუთს გასტანა. ამერიკელებმა უკან დაიწიეს. ერთი იმათი მშველელი გემი დაზიანებულია; კარგადა სჩანდა, რომ ორი ყუმბარა „Jowa“-ს გემის ბაქანზედ გასკდა; მეორე საომარს გემზედ ცეცხლი გაჩნდა. სანტ-იაგოში ხალხი დიდად გატაცებულია მამულიშვილურის გრძნობით“.

**ვაშინგტონი.** აქ შლეისაგან არავითარი ცნობა არ არის მიღებული გუშინდელ ამბის შესახებ.

სამხედრო მინისტრმა ოლდჟერმა მიჰმართა წარმომადგენელთა პალატას წერილით, თხოულობს, რომ დასამატი კრედიტი მომეცით და წინადადებას იძლევა, დაუყოვნებლივ გავგზავნოთ კუბაზედ 15—20 ათასი კაცი და ჩქარა იმათვე მიჰყვეს კიდევ 50 ათასი ჯარის-კაციო.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-107 №-ში დაბეჭდილია ს. საგარეჯოდგან ერთი ამბავი, სადაც ნათქვამია, რომ—„გარესჯელებს ხელმძღვანელობდა ბ-ნი ლ. აღნიაშვილი, რომელიც არწმუნებდა, რომ უ—შვილის გაყოფა სრულიად დამთავრებულია და კანონიერიაო და გიორგი-წმინდელებს ნუღარ გაატარებთ მინდორშიო. ამის გამო ამ დღეებში მოხდა დიდი ჩხუბი. მთელი სოფელი საგარეჯო გავიდა მინდორში შეიარაღებული თოფებით და კომბლებით გიორგი წმინდელების გასარეკად. ჩხუბში გარეჯელებმა მოჰკლეს ერთი კაცი და რამდენიმე მძიმედ დასჭრეს“.

ამ შენიშვნიდგან ნათლად სჩანს, რომ ლ. აღნიაშვილმა რაღაც როგორღაც უგუნურად ჩააგონა გარეჯელებს, ამისათვის გარეჯელებმა მოჰკლეს კაციო. მაგრამ ისიც ნათლად სჩანს, რომ ამის მომწერი კორესპონდენტი ანუ სრულიად უმეცარია, ანუ დიდი მოკეთე ლ. აღნიაშვილისა, რომელსაც მან ნამდვილი „მადლი მატლად უქცია“.

მე, მართალია, ვუთხარ გარეჯელებს და მათთან გიორგიწმინდელებსაც, ნინო-წმინდელებსაც და ანთოკელებსაც, რომ ამ გაყოფის შემდეგ ყველა თავის მიჯნებში მდგარიყო, ეპატრონებინათ თავ-თავისს კუთვნილ მამულებისათვის და ვისაც რამ უკმაყოფილება ჰქონდა, ედავნა სამართლით. ამასთან მე ვუშლიდი ყველას და ნამეტნავ გარესჯელებს, როგორც დიდ სოფელს, რომ არაფერში ძალ-მომრეობა არ ეხმარათ. ასე ვეუბნებოდი მე, ასევე უპრძანებდათ მაზრის უფროსი თ. ლ. ჯანდიერი, ასე არიგებდათ თვით ის მიწის მზომელიც და, იმედი მაქვს, ასე ეტყოდა მათ ყველა შეგნებული და ქართველთათვის გულ-შემატკივარი კაცი. მაშ ხომ არ ვეტყოდით, რომ ერთმანეთი ამოჟლიტეთ და ნაოხარი მამული, რისთვისაც თავებს იხოცავთ, სხვებს გადულოცეთო. რომ ეს ასე იყო, ამას დამემოწმება მთელი სოფლის საზოგადოებანი და თვით იმ უკმაყოფილო სოფლის ზოგიერთი მცხოვრებიც. რომ ეს ასე იყო და ყველაფრისა შინაურულის მორიგებით გვინდოდა გათავება, ეს სჩანს თვით საქმის წარმოემიდგან, განყოფის შემდეგ ხელწერილების მიცემიდგან; ამას დაამოწმებს თვით მაზრის უფროსი, რომელიც არა ჩემზედ ნაკლებ დასტანჯეს და ჯვართ აცვეს ზოგიერთმა განყოფის მოწინააღმდეგეებმა.

რაც შეეხება თვით ამ სოფლების მამულების გაყოფვის შესახებ დავას, იმის მნიშვნელობას გლეხთათვის და აგრეთვე იმას, თუ რომელია ამ სოფლებში დამნაშავე და წინააღმდეგი, ამას მე მოგახსენებთ ამ რამდენსამე დღეში *).

ლადო აღნიაშვილი

—

თქვენს გაზეთში წავიკითხე ჩვენ მამა-პაპათა სალოცავ სვეტი ცხოვლის ტაძრის უნუგეშო მდგომარეობის ამბავი, გული ამომიჯდა, მინდა სულითა და გულით მომატებულად დავეხმარო, მაგრამ რავქნა საწყალმა უსწავლელმა და წვრილ-შვილის პატრონმა, რომ მეტი შეძლება არა მაქვს და ამიტომ გიგზავნით მხოლოდ ორ მანეთს სვეტი-ცხოვლის ტაძრის ფონდის სასარგებლოდ.

ვლადიმერ ივანეს ძე მაჭავარიანი

## „ივერიის“ ფოსტა

**ქ. ბ—მი. ლ. დ. ს—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ბ ნს თავისუფალს.** თქვენი „მცირე შენიშვნა“ არ დაიბეჭდება. ვერც თქვენს წინანდელს გიგზავნით, რადგან რედაქცია არ ჰკისრულობს დაუბეჭდავის წერილების უკანვე გაგზავნას.

**ქ. ძ—სი. კ. კ—ნს.** არ დაიბეჭდება.

**თმა-ხუჭუჭას.** არ დაიბეჭდება.

**ა—ე. ც—ვს.** არ დაიბეჭდება.

**სამებისელს.** არ დაიბეჭდება.

**მოსწავლეთ ყოფილთაგანს.** თქვენი აზრი სჯობს ბახვის სასწავლებლის მოსწავლეებად ყოფილთა კრებას მოახსენოთ, რადგან მაგ აზრს ვიწრო მნიშვნელობა აქვს და გაზეთის ყველა მკითხველისათვის საყურადღებო არ არის.

**ივ. როსტომაშვილს.** თქვენი წერილი „ახალი მკითხველის“ შესახებ არ დაიბეჭდება.

**ალიკოს.** არ დაიბეჭდება.

**დ. სხ—ლაძეს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ნინო მეტრეველს.** მადლობის წერილი არ დაიბეჭდება.

**მესხიას.** არ დაიბეჭდება.

**ვინმე ფრანგს.** არ დაიბეჭდება.

**დ. ხ—ი. ს. თ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**დ. ყ—ლა. მაყურებელს.** არ დაიბეჭდება.

**იოსებ ოთარაშვილს.** არ დაიბეჭდება.

**ელინკას.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**დვაბზუელს ხელოსანს და ვ—ლი ქ—ლს.** თქვენის წერილებით „ტფ. ფურც.“ მიჰმართეთ, ჩვენ არ შეგვეხება.

**სიმ. ტო—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**მორიძეს:** გამოგზავნეთ თქვენი წერილი აფთიაქის შესახებ ისე, რომ თქვენი ვინაობა ნოტარიუსის მიერ იყოს შემოწმებული, და დავბეჭდავთ.

**ხოფ. ა—თი: ს. ტ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**თლუღელს.** ნაწყვეტი არ დაიბეჭდება.

**ივ. დ—იას.** ოთხში ერთი დაიბეჭდება.

**ს. ქ—ლი. ც—ვის.** არ დაიბეჭდება.

**კ—წ—ას.** არ დაიბეჭდება.

**შავი—დიას.** თქვენი უკანასკნელი წერილი არ დაიბეჭდება.

**ქვეჭის.** არ დაიბეჭდება როსტომის ამბავი.

**დ. ჩაჩუას.** არ დაიბეჭდება.

---

*) ამ დღეებში, როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, ჩვენც გვექნება ვრცელი წერილი ამავე საგნის შესახებ. რაც შეეხება გუშინდელს შენიშვნას, იქ შეცდომით არის ნათქვამი „ამის გამო“, უნდა იყოს „ამ სოფლელთა შორის ამ დღეებში მოხდა დიდი ჩხუბი“. რედ.


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| | მან. კაპ. |
| საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ. | |
| ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია . . . . . . . | „ 20 |
| მოლიპულ გზაზე, მოთხრობა . . . . . | 1 „ |
| მთიულეთი ალ. ფრონელისა . . . . | „ 70 |
| მოსავლის მცველნი გოგებაშვილისა . . . . | „ 20 |
| ბიროგმანსი. კარგარეთელისა . . . . . | 1 „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . | 1 „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ 25 |
| ანბანი საკერი ანბანი . | „ 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 „ |

!!ერიდეთ არ მოსტყუვდეთ!!

### ჰიგიენური
### გორნო-ცვიმოლის საპონი
### გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მქამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—15)



დიდის ვაჭრობისა და ახალის განუკეთესებულის საშუალებით ჩემ მიერ საათების დამზადებისა გამო შეძლება მომეცა 1897 წლის 1 ივლისიდგან ვყიდო მეტად მშვენიერი და გამძლე **საათები ამერიკულ ოქროსი მამაკაცთათვის**, ძვირად გასარჩევი მკოდნე კაცებისათვისაც ნამდვილ ძვირფას ოქროს საათებისაგან,—დახურული **ანკერი**, მეტად კარგის მანქანისა და ნაკეთობისა (1896 წ. ვერცხლის მედალით დაჯილდოვებულია ჟენევის გამოფენაზედ), ლამაზის ძეწკვით, **ამერიკულ ოქროსივე**, ბრელოკით, და, დამკვეთის სურვილისამებრ, იმის **მონოგრამმით** ზემო სახურავზედ, 18—20 მან. მაგიერ იყიდება

## მხოლოდ 10 და 12 მან.

ამერიკაში ამ საათებმა დიდი ხანია ხმარებიდგან გააძევა ნამდვილი ოქროს საათები და ბოლოს დროს ჩვენშიაც ჰხმარობენ.

ასეთივე საათი **ქალთათვის 1 მან. ძვირია**

წერილითი თავდებობა ეძლევა მყიდველს 6 წლის ვადით.

ვუგზავნი სრულიად მოწყობილსა და მორთულს საათს ორის მან. ბეს მიღების შემდეგ ფასდადებით. ადრესი:

## შ. გეილერის
## საწყობი ჟენევის საათებისა ქ. ვარშავაში,

კოროლევსკაია, 27, 29.

— მრავალი სამადლობელი წერილები —

სიყალბის თავიდგან ასაცდენად ყოველ საათს ფირმის ბეჭედი აზის, რომელიც ნება-დართული და დამტკიცებულია სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტისაგან. (10—მ.—3)